სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის ირაკლი შვანგირაძის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	23	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	6	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	88	100

გიორგი გზობავა

თარიღი : 06.12.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„6“ **დეკემბერი, 2024 წელი** **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ირაკლი შვანგირაძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა 38 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 ნოემბრის №1/119 განკარგულების შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით, დარეგისტრირდა **ირაკლი შვანგირაძე.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 3 დეკემბერს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის - **ირაკლი შვანგირაძის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - ამავე ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, **ირაკლი შვანგირაძე** გამოირჩევა კეთილსინდისიერებით, კომპეტენტურობით, შრომისმოყვარეობით და პუნქტუალურობით. მას სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას - გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად.

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ საანგარიშო პერიოდში, **ირაკლი შვანგირაძეს** უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 13 ფაქტი, დაკისრებული სანქციები (ჯარიმები) გადახდილია დროულად.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლეობის კანდიდატის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის.

<u>დასკვნა:</u> ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **ირაკლი შვანგირაძე <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

ირაკლი შვანგირაძე არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVIII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 80/16.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 4.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - *„ადმინისტრაციულ სამართალში* - მას აქვს კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. ასევე, აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. მსმენელი თავაზიანი და გაწონასწორებული ადამიანია. ყოველთვის გამოირჩეოდა ტაქტიანობით და არასოდეს გასცდენია ეთიკის ნორმებს. აღსანიშნავია მისი ორგანიზებულობის უნარი და თანამიმდევრულობა. შეუძლია დავალებების დიდი რაოდენობის შემთხვევაში, ეფექტიანად მოახდინოს მათი პრიორიტეტულობის განსაზღვრა და გადანაწილება. რეკომენდებულია მან

იმუშაოს დროის მართვისა და კონცენტრაციის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე. *სამოქალაქო სამართალში* - ირაკლი შვანგირაძე კარგად იყენებს მოქმედ კანონმდებლობას სადავო სამართალ ურთიერთობის გადასაწყვეტად. მარტივად ახდენს სადავო საკითხების იდენტიფიცირებას და სწორად იყენებს სამართლებრივ ნორმებს. აქვს კარგი უნარი სტრუქტურულად და ლაკონურად გადმოსცეს აზრი. აქვს ორგანიზებულობის უნარი და თანამიმდევრულობა. მას შეუძლია დავალებების დიდი რაოდენობის შემთხვევაში, ეფექტიანად მოახდინოს მათი პრიორიტეტულობის განსაზღვრა და გადანაწილება. ირაკლი ძალიან განწონასწორებული და გონებაგახსნილი ადამიანია, ახალ ინფორმაციას და მასალას ადვილად ითვისებს და აანალიზებს. სტაჟირების პერიოდში იყო კომუნიკაბელური, ყურადღებიანი. ის ყოველთვის გამოირჩეოდა ტაქტიანობით და არასოდეს გასცდენია ეთიკის ნორმებს. არის თავმდაბალი და ზრდილობიანი. *სისხლის სამართალში* - ირაკლი შვანგირაძეს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. მას აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, ასევე არგუმენტირებული სამართლებრივი მსჯელობა. ირაკლი შვანგირაძეს ადვილად შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. ირაკლი შვანგირაძე არის შრომისმოყვარე, ორგანიზებული პიროვნება და მასზე დაკისრებულ სამუშაოს ხარისხიანად ასრულებს. თავის გადაწყვეტილებებში არის სწრაფი და დამაჯერებელი. მისი დასაბუთებები ლოგიკური და გასაგებია."

საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ **ირაკლი შვანგირაძე** სისხლის სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, კარგად იცნობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს.

<u>დასკვნა:</u> კომპეტენტურობის კრიტერიუმით (სამართლის ნორმების ცოდნა) შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ირაკლი შვანგირაძე** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25)

<u>2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატს აქვს პროფესიული კუთხით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება და გამოკითხული რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, მას კარგად აქვს განვითარებული სამართლებრივი დასაბუთების უნარი.

კანდიდატს შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის ყველა სფეროს ირგვლივ. საჯარო მოსმენაზე დასმულ შეკითხვებს უმეტესწილად პასუხობდა სწორად, გასაგებად და საგნობრივად.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ირაკლი შვანგირაძე** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

<u>2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

ირაკლი შვანგირაძეს გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, აქვს განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი. კანდიდატი გასაუბრებისას მშვიდად და დამაჯერებლად პასუხობდა საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, კვალიფიციურად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას, ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს.

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - ირაკლი შვანგირაძის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების/საპროცესო დოკუმენტების პროექტები შედგენილია სწორი საპროცესო ფორმით. მას სავსებით შესწევს უნარი საქმის რთული გარემოებები და სამართლებრივი მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს და მნიშვნელოვანზე გაამახვილოს ყურადღება. ასევე წერილობითი დოკუმენტი ზედმიწევნით და შინაარსობრივად სწორად ჩამოაყალიბოს. ამის მაგალითია სტაჟირებისას მის მიერ შესრულებული არაერთი საპროცესო დოკუმენტის და გადაწყვეტილების პროექტი. პროექტების წერისას შეინიშნებოდა პუნქტუაციური და სტილისტური შეცდომები, თუმცა საქმის გარემოებებს აფასებდა სწორად და გამართულად აყალიბებდა აზრს. ირაკლი შვანგირაძეს შეუძლია მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს და მხოლოდ მნიშვნელოვანზე გაამახვილოს ყურადღება. მის მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტები მარტივად გასაგები და არგუმენტირებულია. ამასთან, მან უნდა განავითაროს აკადემიური მსჯელობის უნარი სამართლებრივი შეფასებების გაკეთებისას.

<u>დასკვნა:</u> წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ირაკლი შვანგირაძე** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20).

<u>2.4. პროფესიული თვისებები</u>

რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივი თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან გამომდინარე, კანდიდატი არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე, შეუძლია სტრესულ სიტუაციაში მუშაობა.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ირაკლი შვანგირაძე** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15).

<u>2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>

ირაკლი შვანგირაძე არის ღია სიახლეების მიმართ, აქვს თვითგანვითარების უნარი, ის შეძენილ ცოდნასა და უნარებს პრაქტიკულ საქმიანობაში წარმატებით იყენებს.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

ირაკლი შვანგირაძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლის, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლის, პროკურატურის მუშაკთა და ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები.

<u>დასკვნა:</u> აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ირაკლი შვანგირაძე** უნდა შეფასდეს 6 ქულით (მაქსიმალური ქულა 10).

2.6. პროფესიული აქტივობა

მოცემული კრიტერიუმებით **ირაკლი შვანგირაძის** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ კანდიდატს გააჩნია პროფესიული ზრდის სურვილი, ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა ტრენინგსა და სასწავლო კურსში, კერძოდ:

- სასამართლოს ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის რეფორმის პროექტი - USAID GEORGIA;
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარების ტრენინგი;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ფსიქოლოგია და არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკა;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა.

ირაკლი შვანგირაძეს მიღებული აქვს სპეციალური წოდებები:

- უმცროსი იურისტი - 05.09.2017 (ბრძანება №100-მ);
- მესამე კლასის იურისტი - 05.09.2018 წ. (05.10.2018 წლის ბრძანება №139-მ §45);
- მეორე კლასის იურისტი - ვადამდე - 24.05.2023 წელი (ბრძანება №12 §15).

კანდიდატს მიღებული აქვს წახალისება სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2023 წლის 24 მაისის №12 §15 ბრძანებით, ვადამდე მიენიჭა მეორე კლასის იურისტის სახელმწიფო სპეციალური წოდება.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ირაკლი შვანგირაძე** უნდა შეფასდეს 4 ქულით (მაქსიმალური ქულა 5).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **ირაკლი შვანგირაძე <u>სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს</u>**, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა 88 (ოთხმოცდა რვა) ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი